ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№-64

ქ. თბილისი; 14 ივლისი, 2020 წ. 11:00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

**ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)**

თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე

**მოწვეული პირები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი – **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი – **სერგო ბირკაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსი **ვიქტორ წილოსანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი – **მარიამ კვერნაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ჟორჟოლიანი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომ

## დღის წესრიგი

1. ვაჟა ოთარაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.
2. ზაზა მამალაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
9. საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საზაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საზაგირო გზით

„ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–$135^5$მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების(M2კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის

ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
16. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
17. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135 $^{2}$მუხლებით, 135$^{3}$მუხლის პირველი ნაწილით, 135$^{4}$და 135$^{5}$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
18. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
19. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N 40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
20. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.
22. მეორეული საზურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილადაალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
23. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
24. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
25. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
26. „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული 6194 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
27. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
28. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **ვაჟა ოთარაშვილის** უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

**ბატონმა ლევანმა აღნიშნა,** რომ 2020 წლის 25 ივნისს, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილება, შეუწყდა პარტიული სიით არჩეულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს გოჩა თევდორაძეს. ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესაბამისი განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საარჩევნო სუბიექტის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს **გამოკლებული წევრის – გოჩა თევდორაძის** (პარტიულ სიაში N1) **ადგილმონაცვლედ ცნობილ იქნა – ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ვაჟა ოთარაშვილი** (პარტიულ სიაში N3).

**კომისიის თავმჯდომარემ განმარტა,** რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

**ბატონმა ლევანმა აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს **წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის და განიხილავს იურიდიულ საკითხთა კომისია, რომელიც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს.** ხოლო, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **რეგლამენტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ვაჟა ოთარაშვილის უფლებამოსილების საკითხი.**

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **ზაზა მამალაძის** უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

**ბატონმა ლევანმა აღნიშნა,** რომ 2020 წლის 25 ივნისს, პირადი განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილება, შეუწყდა პარტიული სიით არჩეულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ფრიდონ ინჯიას. ამასთან, დასძინა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესაბამისი განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საარჩევნო სუბიექტის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის **საკრებულოს გამოკლებული წევრის ფრიდონ ინჯიას** (პარტიულ სიაში N2) **ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი ზაზა მამალაძე** (პარტიულ სიაში N4).

**კომისიის თავმჯდომარემ განმარტა,** რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ იგი ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე.

**ბატონმა ლევანმა აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს **წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, რეგლამენტით დადგენილი წესით შეისწავლის და განიხილავს იურიდიულ საკითხთა კომისია, რომელიც ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს.** ხოლო, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **რეგლამენტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა ცნოს ზაზა მამალაძის უფლებამოსილების საკითხი.**

მოისმინეს:

**3.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა **გაიოზ თალაკვაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ხაზი გაუსვა,** ეკონომიკურ მდგომარეობაზე პანდემიის გავლენას და აღნიშნა რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მარტის დასაწყისიდანვე დაიწყო აქტიური მუშაობა ერთის მხრივ ბიუჯეტით გათვალისწინებულიპროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების, ღონისძიებების დაზუსტებაზე და მეორეს მხრივ ფინანსთა სამინისტროსთან, წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების განსაზღვრაზე.

**ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, მუნიციპალიტეტებისათვის საგადასახადო შემოსავლებში მოსალოდნელია დანაკლისი და ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

- მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესაბამისი ოდენობით;
- 2020 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და შემოსულობების სხვა წყაროების პროგნოზების გათვალისწინებით, მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
- ასევე მცირდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, სანქციები (ჯარიმები და საურავები) შესაბამისი ოდენობებით;

**ბატონმა გაიოზმა შეჯამების სახით** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მოცულობა მცირდება სულ 137 332,5 ათასი ლარით და შეადგენს **1 101 648,1** ათას ლარს.

**მომხსენებლის მითითებით,** მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებში მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე, **იზრდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები, კერძოდ:**

- გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში, ნაძალადევის, ჩუღურეთის, საბურთალოს სამგორის და კრწანისის რაიონებში;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის, ვაკის, საბურთალოს, ისნის რაიონში, სამგორის, მთაწმინდის რაიონებში;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს, მთაწმინდის რაიონებში;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის ჩუღურეთის, ვაკის, საბურთალოს, ისნის, სამგორის, კრწანისის, მთაწმინდის რაიონებში;
- **კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, ასევე,** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პროგრამის ასიგნება შესაბამისი ოდენობებით;

გაიოზმა ასევე ისაუბრა, ბიუჯეტის პროექტით შესამცირებელ **პროგრამებსა და ქვეპროგრმებზე, რომელთა შორისაა,** გზების მშენებლობა შესაბამის რაიონებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია. საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები;

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები, ღონისძიებების უზრუნველყოფა, კეთილმოწყობის ღონისძიებები, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.
მომხსენებელმა დასძინა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ პროექტი ასევე, ითვალისწინებს შემდეგ სიახლეებს:

- **ემატება ახალი პროგრამები/ქვეპროგრამები:** მეტროს სადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში; თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზა, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება;
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს შერწყმასთან დაკავშირებით, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პროგრამის სახელწოდება გაიზარდა მომუშავეთა რიცხოვნობა 54 ერთეულით და განისაზღვრა 135 ერთეულით, ხოლო სსიპ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 56 ერთეულით;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის შემცირების გათვალისწინებით, წარმოდგენილ პროექტში დაზუსტებულია სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები შესაბამისი პროგრამები და ქვეპროგრამები

**ბატონმა ვასილმა დასასრულს მიუთითა,** რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 881 868,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 219 780,0 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 203 837,1ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა **ნინო რუხაძემ კითხვით მიმართა** მომხსენებელს, გამოთავისუფლებულ რესურსებთან დაკავშირებით, რა კრიტერიუმით მოხდა, თანხების დაზოგვის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამისა თუ ქვეპროგრამის ასიგნებების შემცირების პროცესში.

**ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ** რესურსების დაზოგვა დანხორციელდა როგორც მიმდინარე პროგრამებიდან, აგრეთვე, იმ სამუშოებისათვის განსაზღვრული თანხებიდან, რითვისაც არ იყო ჯერ ფაქტობრივი დანახარჯი გაწეული, ამასთან, შესაბამისი ოდენობები დაიზოგა მუნიციპალიტეტის სსიპ–ებისა და ა(ა)იპ–ებისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან.

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ ასებულ შენიშვნაზე, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტის პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებით დაწყებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად, ხდება აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების შერწყმა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს განსაზღვრა.

ბატონმა ვასილმა ხაზი გაუსვა, წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზნებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო და ურბანული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის წარმოება;
- თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით ($M_2$და $M_3$ კატეგორიები), მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით ($M_1$ კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით მგზავრთა გადაყვანის და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ხელშეწყობა;
- კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დაინტერესებულ პირთათვის ეფექტური, მოქნილი და სრულყოფილი მომსახურების შეთავაზება;
- კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება.

მომხსენებელმა ასევე ჩამოთვალა, დებულების პროექტის მიხედვით, სააგენტოს შემადგენლობად განსაზღვრული შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) მარშრუტების დაგეგმარების სამსახური;
გ) საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური;
დ) საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახური;
ე) სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახური;
ვ) ანალიტიკის და ურბანული დაგეგმარების სამსახური;
ზ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების სამსახური;
თ) სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;
ი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების სამსახური;
კ) მონიტორინგის სამსახური;
ლ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების სამსახური;
მ) ქალაქგეგმარებითი პოზიციების სამსახური;
ნ) განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების მართვის სამსახური;
ო) განაშენიანების რეგულირების გეგმების მართვის სამსახური.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის აუცილებლობა ასევე განაპირობა, ამოქმედებულმა საკანონმდებლო პაკეტმა, რითაც ცვლილება შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა".

**დასასრულს ბატონმა ვასილმა აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება იწვევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს **უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზზე და აღნიშნა**, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაცია, რაც ხორციელდება აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების შერწყმით და შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებად განისაზღვრება **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.**

**ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ** მითითებულის გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით, შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რითაც ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-27 დადგენილების სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება და მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესი", დადგენილების პროექტის დანართის შესაბამისად.

**მომხსენებელმა დასასრულს დასძინა, რომ** პროექტი შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან", ამასთან, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 16 ივლისი და მისი მიღება იწვევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**6.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** დადგენილების პროექტის განმაპირობებელი მიზეზები, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაწყებული რეორგანიზაცია, რის შედეგადაც, ხდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმა და განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელწოდებით – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

- ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტების შედეგად, ცვლილება განიცადა შესაბამისმა საკანონმდებლო აქტებმა და ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა".

**მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემომითითებული ტერმინოლოგიური ცვლილება ითვალისწინებს, როგორც** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53–22 **დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობას – სათაურის, პრეამბულას, პირველი და მე–2 მუხლების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების თვალსაზრით, ასევე გავლენას ახდენს** შემდეგ აქტებზე:

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილება;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი" (მე-13 და მე-14 მუხლები).

**მომხსენებელმა დასასრულს** მიუთითა, რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 16 ივლისი**, ხოლო, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები არ არის საჭირო.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის მიღების შემდეგ მიზეზებზე, კერძოდ:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად ხდება,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმა, **საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებად განისაზღვრება – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.**

- ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტების შედეგად, ცვლილება განიცადა შესაბამისმა საკანონმდებლო აქტებმა და **ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“.**

**ვასილ აბულაძემ მიუთითა, რომ** ზემოაღნიშნული სამართლებრივი ხასიათის სიახლეები იწვევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პრეამბულას, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-2 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის, 3 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, ასევე, წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით დამტკიცებული დანართი №1-ის დადგენილების პროექტზე თანდართული, რედაქციით დამტკიცებას.

**დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ დადგენილების ამოქმედდების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 16 ივლისი.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმადაც ახალი რედაქციით ყალიბდება „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პრეამბულა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, პუნქტის დაკონკრეტების გარეშე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა, პროექტის მიღების მიზეზზე და აღნიშნა, რომ** 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული და 19 ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტით ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და **ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“.**

**ვასილ აბულაძემ განაგრძო თხრობა** და მიუთითა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილების სათაური, პრეამბულა, პირველი და მე-2 პუნქტებში ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ იცვლება ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ და სწორდება ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

- ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის"სათაური, წესის პირველი მუხლი, მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, მე-17 მუხლის „თ" ქვეპუნქტი და მე-18 მუხლის „ი" ქვეპუნქტი, სადაც ასევე ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა", იცვლება ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანით" და სწორდება ტექნიკური ხასიათის ხარვეზები.

**მომხსენებელმა დასასრულს აღნიშნა, რომ** დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ** ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში,** რითაც ახალი რედაქციით ყალიბდება ქალაქ თბილისის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილების** მე-2 **პუნქტით** დამტკიცებული **წესის** სათაური, ამოღებულ იქნას სიტყვა **„თანდართული"** და პროექტის **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტში,** რითაც ახალი რედაქციით ყალიბდება ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილების მე-2 პუნქტით** დამტკიცებული **წესის მე-17 მუხლს „თ" ქვეპუნქტი,** დამატებით გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და სიტყვა **„უზრუნველყოს"** მიეთითოს ერთხელ, ხოლო, მითითებული ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრასნპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა მიუთითა, რომ** დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა, 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა და 19 ივნისიდან ამოქმედებულმა საკანონმდებლო პაკეტმა, რითაც ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“.

**ბატონმა ვასილმა კონკრეტულად ისაუბრა, პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ ახალი რედაქციით ყალიბდება,** “საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების სათაური; პრეამბულა; პირველი მუხლის პირველი პუნქტი; მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის პრეამბულა, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლები.

**მომხსენებელმა ასევე აღნიშნა,** რომ დამტკიცების შემთხვევაში, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**10.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135 $^5$მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზზე და აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაცია, რაც ხორციელდება აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების შერწყმით და შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებად განისაზღვრება **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.**

ვასილ აბულაძემ დასძინა, რომ მითითებული გარემოების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-18 დადგენილების სათაურში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს ნაცვლად მიეთითება **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო.**

ასევე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სააგენტოს სახელწოდება იცვლება ზემოაღნიშნული დადგენილების პირველ მუხლში. ხოლო, დადგენილების მე-3 მუხლში განსახორციელებული ცვლილების მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილების შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში გასაჩივრებული საქმეების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება უნდა უზრუნველყოს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ.**

**დასასრულს ვასილ აბულაძემ აღნიშნა,** რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2020 წლის 16 ივლისიდან.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრასპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა** პროექტის გამომწვევ შემდეგ მიზეზზე:

- ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად, ხდება სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმა და განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

- 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული და 19 ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტით შევიდა ცვლილებები შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და **ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა".**

**მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებით** შესაბამისი ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილების სათაური, პრეამბულა, დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები, $4^1$ მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლის პრამბულა, მე-6 და მე-8 მუხლები, მე-18–21-ე მუხლები და დადგენილების 22-ე მუხლი, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია **2020 წლის 16 ივლისი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**12**. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 20 იანვრის №1-5

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა დაასახელა ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო პროექტის მიღებას:

- 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული და 19 ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტით ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“.
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის გახდა ორგანული კანონი.
- ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის № 20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₃კატეგორია) მარშრუტები.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** ზემომითითებულის გათვალისწინებით შემუშავდა დადგენილების პროექტი, რითაც, ახალი რედაქციით ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის N1-5 დადგენილების სათაური, პრეამბულა, დადგენილების პირველი მუხლი, შედეგად, ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ იცვლება ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“, აგრეთვე საქართველოს „დედაქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები“ იცვლება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით“.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ პირველ პუნქტში მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის № 20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტით წარმოდგენილი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**13.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ–ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, $125^2$ მუხლით და $135^3$ მუხლის მე-2 ნაწილით

გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის გამომწვევ მიზეზზე და აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეორგანიზაცია, რაც ხორციელდება აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირების შერწყმით და შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებად განისაზღვრება **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.**

**ვასილ აბულაძის მითითებით,** ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 მარტის № 16-53 დადგენილების პრეამბულაში, ნაცვლად აღნიშნულისა, მიეთითება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო“, იდენტურ ცვლილებას განიცდის დადგენილების მე–2 მუხლით დამტკიცებული წესის მე–8 მუხლის მე–2 პუნქტი; ხოლო, ამავე წესის 3[2] მუხლის მე–7 პუნქტში აღნიშნულ დანართ 6 - ში იცვლება თბილისის საქალაქო სასამართლოს მისამართი.

**მომხსენებელმა** დადგენილების პროქტის ამოქმედების თარითად, მიუთითა, 2020 წლის 16 ივლისი.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ქვეპუნქტიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა „წესის“.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ–ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმისა და ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიღების მიზნით დაწყებული რეორგანიზაციისა და 2020 წლის 19 ივნისიდან ამოქმედებულმა საკანონმდებლო პაკეტმა, რითაც ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა", განაპირობა დადგენილების პროექტის მიღების აუცილებლობა, რითაც ხდება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების სათაური, პრეამბულა, დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტები, სადაც ნაცვლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსი, მიეთითება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

- ასევე, პირველ და მე-2 პუნქტებში, ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" იცვლება ტერმინით „რეგულარული სამგზავრო გადაყვანის".

- დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის სათაური, მე-3 მუხლის პირველი და $1^1$, მე-4 მუხლის მე-3 და $3^1$, მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ზემოხსენებული ცვლილებების გათვალისწინებით ყალიბდება ახალი რედაქციით.

მომხსენებელმა პროექტის ამოქმედების თარიღად მიუთითა, 2020 წლის 16 ივლისი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობისმარშრუტებისდამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, 2020 წლის 19 ივნისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო პაკეტით, შესაბამის სამართლებრივ აქტებში განხორციელებულმა ცვლილებამ – ტერმინი **„ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა"** შეიცვალა ტერმინით **„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა"**, განაპირობა, დადგენილების პროექტის მიღების აუცილებლობა.

**ვასილ აბულაძემ პროექტის მიღების მიზეზად ასევე დაასახელა,** დადგენილების პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის სწორი ფორმულირების მითითების აუცილებლობა, ასევე, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის №20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3კატეგორია) მარშრუტების დადგენის საკითხი.

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** ზემომითითებული გარემოებების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რითაც, შესაბამისი ცვლილებები აისახება, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-48 დადგენილების სათაურში, პირველ პუნქტსა და პირველი პუნქტში მოხსენიებულ დანართში, რისი ამოქმედების თარიღად განისაზღვრულია, 2020 წლის 16 ივლისი.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს,** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის №20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მითითებასა და დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით წარმოდგენილი პირველი პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებას.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**16.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** ცვლილებების განხორციელება განაპირობა 2020 წლის 19 ივნისიდან ამოქმედებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ, რომლის მიხედვითაც ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა", დადგენილების პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის სწორი ფორმულირების მითითების აუცილებლობამ. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის №20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დადგინდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$კატეგორია) მარშრუტები, რამაც ასევე, ასახვა ჰპოვა წარმოდგენილ პროექტში.

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** ცვლილებას განიცდის დადგენილების სათაური, პრეამბულა, პირველ პუნქტი და პირველი პუნქტში მოხსენიებული დანართი, ხოლო პროექტის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა, 2020 წლის 16 ივლისი.

აზრი გამოთქვეს:
**კომისიის თავმჯდომარე** მიზანშეწონილად მიიჩნევს, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ პირველ პუნქტში, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის №20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მითითებას და, შესაბამისად, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით წარმოდგენილი პირველი პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**17.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135²მუხლებით, 135³მუხლის პირველი ნაწილით, 135⁴ და 135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაშიცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა პროექტის მიღების მიზეზად** მიუთითა, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.605.758 განკარგულებით დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს განსაზღვრა, რამაც განაპირობა დადგენილების მოქმედ რედაქციაში შემდეგი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა:

- დადგენილების პრეამბულაში, პირველ მუხლში და დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135² მუხლებით, 135³ მუხლის პირველი ნაწილით, 135⁴ და 135⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის მე-2 მუხლში.

- აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით დამტკიცებული წესის დანართ 1-ში, მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით დამტკიცებული წესის დანართ 2-ში, მე-4 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტში სააგენტოს სახელწოდების ნაცვლად მიეთითება - „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი იურიდიული პირი".

**როგორც მომხსენებელმა მიუთითა,** დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის (საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.**

**ვასილ აბულაძემ აღნიშნა,** რომ პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია, 2020 წლის 16 ივლისი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**18.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის** მითითებით, 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და 19 ივნისიდან ამოქმედდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტში, **ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა", რამაც განაპირობა** „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში, ცვლილებების ასახვის აუცილებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8–31 დადგენილების სათაური, პრეამბულა, დადგენილების პირველი მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით და ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" იცვლება ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა".

**მომხსენებელმა ასევე აღნიშნა,** რომ დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.
გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**19.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N 40-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** დადგენილების პროექტის მიღება განაპირობა, 2020 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა და 19 ივნისიდან ამოქმედებულმა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში შესულმა ცვლილებებამ – ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა" შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა", ასევე, ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის № 20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ და $M_3$ კატეგორია) მარშრუტების დადგენის საკითხმა.

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N40–22 დადგენილებაში და ახალი რედაქციით ყალიბდება დადგენილების სათაური და პირველი მუხლი.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით განსაზღვრულ პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის № 20.689.866 განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი და, შესაბამისად, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე–3 პუნქტით წარმოდგენილი პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

**20.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** დადგენილების პროექტით ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილების სათაური, დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები,

სათაურში სიტყვები **„საქართველოს დედაქალაქის“** შეიცვალა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის“**, ასევე სათაურს დაემატა **„აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“.** ამასთან, დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებში სიტვები **„საქართველოს დედაქალაქის“** შეიცვალა **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის“,** შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბდა განკარგულებით დამტკიცებული დანართების სათაურები.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** დადგენილების პროექტზე გავლენა იქონია, 2020 წლის 9 ივნისიდან ამოქმედებულმა საკანონმდებლო პაკეტმა, რომლითაც ცვლილებები შევიდა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში და ტერმინი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ შეიცვალა ტერმინით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“.

**ვასილ აბულაძემ ასევე მიუთითა,** რომ დადგენილების დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარის მითითებით,** ვინაიდან წარმოდგენილი პროექტის მე-2 პუნქტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული დანართები, მიზანშეწონილია, აღნიშნული მუხლების ჩამოყალიბებისას მიეთითოს „რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსები (M2 და M3 კატეგორიების) მარშრუტების, აგრეთვე გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადავანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიების) გაჩერების ადგილების დადგენის, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებლოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის პირველი ივლისის N20.689.866 განკარგულებით დამტკიცებული დანართები შესაბამისი ნუმერაციით და დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

**21.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა – სერგო ბირკაძე,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით**, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული **ინსტრუქციის მე-4 პუნქტისთვის „ი" ქვეპუნქტის დამატებას.**

**ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ** 2020 წლის 9 ივნისს, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ განხორციელდა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის **24** მაისის **№14-39** დადგენილებაში, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი ხდება, თავის ტერიტორიაზე არსებული V კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ავარიული შენობა-ნაგებობის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები. ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

**მომხსენებლის მითითებით,** შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, კერძოდ კი პროექტის თანახმად **სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებლის გადახდა არ მოხდება თუკი სამშენებლო ობიექტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 39[1] მუხლის შესაბამისად,** მიიღებს გადაწყვეტილებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული V კატეგორიის ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.

**ბატონმა სერგომ დასასრულს აღნიშნა**, რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდით, დაგეგმილი შემოსავლების შემცირებას, ასევე მიუთითა, რომ დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

**აზრი გამოთქვეს:**

სერგო ბირკაძემ, კომისიის წევრებს შესთავაზა, მე–5 კატეგორიის დანგრეული სახლების მშენებლობისას კ2 კოეფიციენტის გადახდისაგან დეველოპერების გათავისუფლების საკითხზე სამომავლო მსჯელობა, რასაც დაეთანხმნენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარე დაეთანხმა, მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების მშენებლობის საკითხი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა – სერგო ბირკაძე**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილადაალებადი, ფეთქებადი ანამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგომ ისაუბრა დადგენილების პროექტზე და აღნიშნა, რომ ახალი სახით ყალიბდება, „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და განისაზღვრება, რომ ამ წესით დადგენილი შეზღუდვების გარდა, მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსება ან/და რეალიზაცია ასევე დაუშვებელი იქნება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ შეზღუდვით ზონებში, ფენებში და კონტურებში:

- ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;
- წყლის ობიექტების სანიტარიული არეალ(ებ)ი;
- გარემოს დაცვითი ზონა 3 (გდზ -3);

- მდინარეთა შეტბორვის არეალი;

- განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მოცემული დადგენილების აღსრულების პროცესი ატარებს მნიშვნელოვან ხასიათს, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალური ზონა 1–ის გაწერა დადგენილების მოქმედ რედაქციაში, ვინაიდან, დაზღვეულ იქნას რისკები და ასეთ ზონაში განთავსებული ობიექტების მიმდებარედ განთავსებული არ იქნას ადვილად აალებადი ნივთიერებები. ამასთან, მომხსენებელსა და კომისიის წევრებს შესთავაზა სამომავლოდ მსჯელობა უფლებამოსილ კომისიებთან და სამსახურებთან ერთად დადგენილებით განსაზღვრულ ზონებთან და დეტალებთან დაკავშირებით.

მომხსენებელი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები დედაქალაქის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, რათა მოხდეს შესწავლა და აღწერა შესაბამისი ობიექტებისა, ბიზნესის წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციისა და დეტალური, სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. აგრეთვე დასძინა, რომ მუნიციპალიტეტი არჩევს ისეთი სამოქმედო პოლიტიკას, რაც არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება ბიზნესისათვის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39–18 დადგენილების პირველი მუხლის „ა.ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში (დანართი N1.11), ასევე დადგენილების დანართი N2-ის 72-ე მუხლში, კერძოდ:

- **დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიის,თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების, გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიის, ლისის ტბის, ორთაჭალის**

ბაღების, აკადემქალაქის, კოჯორი-შინდისის მიმდებარე ტერიტორიისა და ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილში.

- დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე დაშვებულად იქნა მიჩნეული სამშენებლოდ განვითარებაგარდა გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებისა,ასევე შეთანხმებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად, აგრეთვე დასაშვებად განისაზღვრა მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

- თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე დაშვებულად იქნა მიჩნეული სამშენებლოდ განვითარება ასევე ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად, დასაშვებად განისაზღვრა აგრეთვე მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

- გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დაშვებულ იქნა მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

- აგრეთვე 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტს დაემატება „ზ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა სანიტარული დაცვის ზონის სარტყელების განსაზღვრის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა.

- ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სამშენებლო განვითარება დასაშვებად განისაზღვრა განაშენიანების რეგულირების გეგმებით წყალშემკვრელი ხევების არეალის დაცვით, ამასთან გარდა „A" არეალისა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული არეალის ფარგლებში დასამუშავებელი განაშენიანების რეგულირებისგეგმა) სამშენებლოდ განვითარება დაშვებულ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად, ასევე დასაშვები გახდა მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და ისაუბრა პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებზე:

- ორთაჭალის ბაღების კუთხით სამშენებლოდ განვითარება დასაშვები ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობა ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში არ იწვევს არსებით, საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების პირობების შესაბამისად.

- აკადემქალაქთან დაკავშირებით, A არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებად იქნა მიჩნეული განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად.

- ახალი რედაქციით ყალიბდება, ასევე, კოჯორი-შინდისის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებული „ი" ქვეპუნქტი და B არეალებზე (დროებით სამშენებლოდ

შეზღუდული არეალი) სამშენებლოდ განვითარება დასაშვები გახდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშეც, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეთანხმებული გზათა რეორგანიზების სქემის საფუძველზე, რომლითაც დაცული იქნება მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების პოტენციალი.

- გარდა B არეალისა სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონის ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად, აგრეთვე დასაშვებია გენ.გეგმაში ცვლილების შეტანა.

- ასევე, სრულიად შეიცვალა ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებული ,,კ" ქვეპუნქტის ფორმულირება, რომლიდანაც ამოღებულ იქნა ,,M" არეალები, ხოლოA არეალში სამშენებლოდ განვითარება დასაშვებად განისაზღვრა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული სახასიათო ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით.

- ასევე გარდა A1 (ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის) და A(განაშენიანების რეგულირების გეგმების) არეალებისა, სამშენებლოდ განვითარება დასაშვებად განისაზღვრა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობა ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში არ იწვევს არსებით, საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად.

**ბატონმა ვიქტორმა აღნიშნა, რომ** მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის აღსრულების პროცესში წამოჭრილმა საკითხებმა ცხადყო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რევიზიისა და გარკვეული ტერიტორიებისთვის ფუნქციური ზონირების დაბრუნების აუცილებლობა, დიდი დიღმის, კოჯორი-შინდისისა და გლდანის ტბის არეალებში. შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილსა და პირველი მუხლის ,,ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ გამწვანებული ტერიტორიების რუკაში.

**დასასრულს მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით,** ახალი რედაქციით მტკიცდება დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი (დანართი N1), პირველი მუხლის ,,ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებულითბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი N1.8) და პირველი მუხლის ,,ა.ლ" ქვეპუნქტით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა (დანართი N1.11), ასევე ცვლილება შედისდადგენილებით დამტკიცებულ დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-**4** პუნქტში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიმართ არსებობს შემდეგი სახის შენიშვნები:

- სასურველია ტექნიკურად გაიმართოს დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირველი მუხლით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (**დანართი N1**) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;"

- **სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, უმჯობესია, დადგენილების პროექტის შესაბამის მუხლებში ტექნიკურად გაიმართოს ანბანური რიგითობა.**

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, სასურველია წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის „ვ" პუნქტის „ა" ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ა) A არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმებით კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების დაცვით."**

**კომისიის თავმჯდომარის აღნიშნულ წინადადებას გაიზიარეს და დაეთანხმნენ, როგორც კომისიის წევრები, ასევე, საკითხის მომხსენებელი.**

**ამასთან, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ხაზი გაუსვა პროექტით ლისთან მიმართებაში წარმოდგენილ ტერმინს – „წყალშემკვრელი ხევები" და მიუთითა, რომ აღნიშნული ტერმინი არ არის განმარტებული დადგენილების მოქმედ რედაქციაში.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული **წინადადების/შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

**24.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
**მომხსენებლის მითითებით,**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, **შეზღუდვის არეალებში მდებარე გაუნაშენიანებელი მიწის ნაკვეთებისთვის განვითარების სავალდებულო პირობა აღარ იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება.**

მომხსენებელმა ასევე განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ

გეგმაში ცვლილების შეტანა, მათ შორის, დასაშვებია განსახილველი მიწის ნაკვეთის კონკრეტული მიზნობრიობით განვითარებისთვის. ფუნქციური ზონიდან გამომდინარე:

ა) ამ წესებით გათვალისწინებული კ-1 კ-2 და კ-3 კოეფიციენტების და შენობა -ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის მაჩვენებლები (ზღვრული მაჩვენებლების ფარგლებში);
ბ) ფუნქციური ზონიდან გამომდინარე, ამ წესებით გათვალისწინებული ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობებიდან ერთი ან რამდენიმე სახეობა;
გ)შენობა-ნაგებობის გაბარიტები (სიგრძე ან/და სიგანე).

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, პროექტით განსაზღვრულ შემდეგ ცვლილებებზე:

- ცვლილება ეხება წესების მე-13 მუხლსაც, რომლითაც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი - კ3. ცვლილების თანახმად, **კ-3 კოეფიციენტით განსაზღვრული ფართობში არ შედის ღია ავტოსადგომი და ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში ცალკე გამოყოფილი 10 კვ.მ და ნაკლები ფართობის მქონე გრუნტის ზედაპირები.**

- ამავე მუხლში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში **კ-3 კოეფიციენტი არ მრგვალდება მეათედებამდე სიზუსტით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც, მიწის ნაკვეთის განვითარება ხდება ზონისთვის დადგენილ მინიმალურ კ-3 კოეფიციენტზე მეტი მაჩვენებლით.**

- ცვლილება ხორციელდება წესების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტშიც, რომლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის ¾. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

- წესების მე-16 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილებების თანახმად, **სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) მიწის ნაკვეთის მინიმალურ ფართობად განისაზღვრება 1000 კვ.მ.**

- ამასთან, საზოგადოებრივ საქმიან ზონებში შესაძლებელია ხდება თითოეული სახეობისთვის დასაშვები პროცენტული მაჩვენებლების არა მხოლოდ შენობა - ნაგებობის, არამედ ასევე, **საპროექტო წინადადების ფარგლებში** განხილვა. კოეფიციენტები ასევე განისაზღვრა მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა ნაგებობისთვის;

- **ყველა ქვეზონისათვის ასევე დასაშვები სახეობაა ჰიდრო ელექტროსადგურებისა და განახლებადი ენერგიისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების განთავსება.**

- ცვლილება შედის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტში, კერძოდ სპეციალურ ზონალური შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მერის მიერ, საბოლოო

გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ **ადმინისტრაციული ორგანოების** დასკვნის საფუძველზე.

- ასევე, წესების 37-ე მუხლს ემატება მე-3[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით. ამასთან, საზოგადოებრივი სივრცის მხარეს ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 0,8 მეტრს.

**ბატონმა ვიქტორმა დასასრულს დასძინა, რომ** დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 39-18 დადგენილებით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის (დანართი №1.11) ფარგლებში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულ სამშენებლოდ გამოყენების პირობებ, რომლებიც შეზღუდვის ამოქმედების შემდგომ გამოცხადდა ძალადაკარგულად, მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაუგრძელდება მოქმედების ვადა ამ ნორმის ამოქმედებიდან ერთი წლით. ამ მუხლის მიზნებისთვის შეზღუდვის მოქმედების პერიოდად მიიჩნევა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 39-18 დადგენილებით დამტკიცებული თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის (დანართი 1.11) ამოქმედებიდან ამ მუხლის ამოქმედებამდე პერიოდი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის N27ა კორპუსში (საკადასტრო კოდი N01.11.10.001.048.01.018 და N01.11.10.001.048.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მარიამ კვერნაძის მითითებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მე-8 მიკრო/რაიონის № 27ა კორპუსში მდებარე უძრავი ქონების ლალი

ღარიბაშვილისთვის (პ/ნ: 24001026012, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.11.10.001.048.02.008, ფართი - 121 კვ. მ.) და ოლღა ადუაშვილისთვის (პ/ნ: 59001011973, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.11.10.001.048.01.018, ფართი - 53.33 კვ. მ.) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზებით გადაცემის საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** გლდანის რაიონის გამგეობამ, შესაბამისი კორესპონდენციის საფუძველზე, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შუამდგომლობით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, მე-8 მიკრო/რაიონის კორპუს № 27ა-ში (მიწის (მრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.11.10.001.048) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის (ლალი ღარიბაშვილისთვის, პ/ნ: 24001026012 და ოლღა ადუაშვილისთვის, პ/ნ: 59001011973) სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით;

**მომხსენებლის მითითებით, უძრავი ქონებით დაინტერესებული პირების ცხოვრების ფაქტი დასტურდება,** როგორც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების წერილით, სადაც მითითებულია, რომ ოლღა ადუაშვილს 2007 წლიდან, ხოლო ლალი ღარიბაშვილი 1997 წლიდან აქვთ დაკავებული ფართები, აგრეთვე, აღნიშნული დასტურდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „აფხაზეთი“ კრების ოქმით, სადაც მითითებულია, რომ ოლღა ადუაშვილი 2008 წლიდან, ხოლო ლალი ღარიბაშვილი 1997 წლიდან უწყვეტად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე; ხოლო, გამგეობის საუბნო განყოფილების წერილით – ოლღა ადუაშვილი 2006 წლიდან, ხოლო, ლალი ღარიბაშვილი 1997 წლიდან ცხოვრობენ ფართებში.

**ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ იმჯელა და 2020 წლის 24 ივნისის № 20.652.812 განკარგულების შესაბამისად გადაწყვიტა, აღნიშნული განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხის ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ** ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, განკარგულების სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“, პირველ პუნქტში ქ. თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი რედაქციით მითითებისა და ამავე პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითების ნაწილში, აგრეთვე, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტურად გამართულობასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების**

**გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**26.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული **6194** კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ არსებული 2498 კვ. მ კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ, 6194 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (ს/კ: N01.10.08.006.217) და დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ, 2498 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.007.133) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მომხსენებელმა ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებზე**

- ქ. თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2019 წლის 18 მარტიდან 2019 წლის 18 აპრილის ჩათვლით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის მიზანს წარმოადგენდა, გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.08.006.217) და ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, მე-15 კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.007.133) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 8692 კვ.მ) მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

- **აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გაიმარჯვა შპს „პერსპექტივამ",** რომელმაც წარმოადგინა ინტერესთა გამოხატვაში ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად

გადასაცემი ყველაზე მაღალი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 7500 კვ.მ-ის ოდენობით, რაც, მიწის ნაკვეთების ფართობების პროპორციულად, გადანაწილდა შემდეგნაირად: N01.10.08.006.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (6194 კვ.მ) გადასაცემი ფართი განისაზღვრა - 5344.5 კვ.მ-ის ოდენობით, ხოლო N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (2498 კვ.მ) - 2155.5 კვ.მ-ის ოდენობით.

**ქალბატონმა მარიამმა აგრეთვე ისაუბრა**, უძრავი ქონებით დასაკმაყოფილებელ პირთა შესახებ და აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N1 მოიცავს, 69 (სამოცდაცხრა) ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს, რომელთაც საკუთრებაში გადაეცემა N01.10.08.006.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან მიწის ნაკვეთები შესაბამისი ოდენობებით, ასევე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის სიმბოლურად 1 კვ.მ ფართის გადაცემას, ხოლო, **დანართი N2 მოიცავს**: N01.10.07.007.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის **29 (ოცდაცხრა) ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირისა და** აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა–ნაგებობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, **თვითნებურად შესახლებული 4 ოჯახის შესაბამისი წევრებისათვის** განსაზღვრული პროპორციით გადაცემას. ასევე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის სიმბოლურად 1 კვ.მ ფართის გადაცემას.

N01.10.07.007.133 საკადასტრო ერთეულზე არსებულ უძრავ ქონებაში თვითნებურად შეჭრილ პირებთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს შპს „პერსპექტივა"–ს წერილით ეცნობა, რომ უძრავ ქონებაში თვითნებურად შეჭრილ პირთა ცხოვრების ფაქტი წარმოადგენდა ხელისშემშლელ გარემოებას სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად,ხოლო, საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილით, ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მე–4 მ/რ, N15 კორპუსის მიმდებარედ ერთსართულიან შენობაში შესაბამისი **ფართები 2006 წლიდან დაკავებული აქვთ თავიანთ ოჯახის წევრებთან ერთად შემდეგ პირებს: ნუგზარ კაჭკაჭაშვილს – 74 კვ.მ. ფართი, ნანი ჩილაშვილს – 77 კვ.მ. ფართი, ირა ჯიქიას – 45 კვ.მ. ფართი და ლია ყენიას – 65 კვ.მ.** ფართი.

**მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ მასალებზე:**

1. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული წევრების მიერ წარმოდგენილ იქნა გადახდილი ქვითრები და კოოპერატივის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტები

2. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების მიერ, შესაბამისი პირებისათვის სახელმწიფოსაგან ერთჯერადი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დათმობა, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. **მოქალაქე ოთარ ფხალაძის (პ/ნ: N31001008570) შემთხვევაში,** აღნიშნულ პირს, „უფლებასა და მოთხოვნაზე საკუთრების შეძენის შესახებ ხელშეკრულების" საფუძველზე შესაბამისი თანხის სანაცვლოდ შეძენილი აქვს N613–ე საბინაო–სამშენებლო კოოპერატივის ასაშენებელ ბინასთან დაკავშირებით.

**3. კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს, რომ თანახმანი არიან,** მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ N01.10.07.007.133 და N01.10.08.006.217 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის გათვალისწინებით.

**4. ფაქტობრივმა მოსარგებლეებმა, სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს თანხმობა,** N01.10.07.007.133 საკადასტრო ერთეულიდან, თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N2–ით განსაზღვრული ოდენობით მიწის ნაკვეთისა და სამშენებლო პროექტის განხორციელების შემდგომ, შესაბამისი ფართის საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კომპანიასა და მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე, ასევე, ქონების გადაცემამდე, ნებისმიერი ფორმით საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისათანავე, თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლებაზე.

5. ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები აგრეთვე წარადგინეს ფაქტობრივი მოსარგებლეების ოჯახის წევრებმა, თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით და თანხმობა გამოთქვეს, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მათი ოჯახის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხზე.

მარიამმა აგრეთვე ისაუბრა, **ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის შესაბამისი წერილზე, რითაც, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ N01.10.08.006.217 საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6,** ამასთან, წერილში მითითებულ იქნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ინტერესების, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტისათვის, მათ მიმართ, ვალდებულების შესრულების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს, განიხილოს მიწის ნაკვეთების მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციით განვითარებისათვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების საკითხი კ2=4,5 მდე. მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შემდგომ, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების წარმოდგენის, კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესის დაცვით, შემოთავაზებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის სიმჭიდროვის და განაშენიანების ინტენსივობის ზრდაზე იმსჯელოს შესაბამისი სოციალური, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის პირობით.

**მარიამმა აგრეთვე აღნიშნა, რომ** მთავრობის განკარგულების დანართ N1-ის 34-53 პუნქტებში მითითებული პირების დაკმაყოფილებისას, თბილისის მთავრობამ იხელმძღვანელა საგამონაკლისო წესით, ვინაიდან, ა(ა)იპ „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებულთა უფლებების დაცვა - „საცხოვრისი"–ს (დამფუძნებლები: ბესარიონ საღარაძე, ზაურ იოსელიანი, კობა ვაჭარაძე, გივი ქავთარაძე,

თავმჯდომარე - ავთანდილ ევგენიძე) სახელით, მათ, ამ განკარგულების დანართ N1-ის 52-ე პუნქტში მითითებულ პირთან, ბესარიონ საღარაძესთან ერთად, მოიძიეს მიწის ნაკვეთების და სახელმწიფო საკუთრებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში აღრიცხვის პროცედურებთან დაკავშირებით, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან და მათი **ჩართულობის შედეგად განხორციელდა მიწის ნაკვეთების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემა.**

**მომხსენებელმა ასევე მიუთითა,** რომ განკარგულების დანართი N1-ის 66-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი, ელენე თავაძე (პ.601022011370), წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების ერთ-ერთი ადრესატის, გია თავაძის უფლებამონაცვლეს, რომლის საფუძველზეც, შესაბამისი უძრავი ქონება ყოფილი კოოპერატივების წევრებს, თუმცა მათ ვერ შეძლეს განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და 2017 წლიდან დღემდე ფაქტობრივად ვერ დაეუფლნენ გადაცემულ მიწის ნაკვეთებს. ასევე დასძინა, რომ ელენე თავაძემ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე, უარი განაცხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, III მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს/კ: N01.10.08.006.217) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 6194 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღების სანაცვლოდ.

**დასასრულს მარიამმა აღნიშნა, რომ** თბილისის მთავრობამ 2020 წლის 24 ივნისის N20.656.825 განკარგულების შესაბამისად იმსჯელა და გადაწყვიტა, საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

ა) **უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა** – 1 (ერთი) **ლარის ოდენობით.**

ბ) თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N1 და დანართი N2 განსაზღვრული კოოპერატივის წევრები, ამავე დანართებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების სანაცვლოდ, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე;

გ) განკარგულების დანართი N2–ით გათვალისწინებული ფაქტობრივი მოსარგებლეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ კომპანიის მიერ მათი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებისთანავე, გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ უძრავ ქონებას.

**მომხსენებელმა** ასევე დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ შესათანხმებლად **წარმოდგენილია,** როგორც მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის N20.656.825 განკარგულების **დანართი N1 და დანართი 2–ით განსაზღვრული** ყოფილი საბინაო–სამშენებლო

კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის, თვითნებურად შექრილი პირებისათვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ, 29-ე კორპუსის მიმდებარედ და დიდი დიღომი, IV მ/რ, მე-15 კორპუსის მიმდებარედ **ჯამურად 8692 კვ.მ ფართის გადაცემის საკითხი** და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 განკარგულების დანართი N2–ის მე–15 პუნქტით განსაზღვრული პირის (გია თავაძის) ნაწილში, მისი გამოცემის დღიდან და აღნიშნული პირის ნაწილში ცვლილება ასევე ეხება აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე შედგენილ 2017 წლის 15 მარტის ხელშეკრულებას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, კომპანია პერსპექტივას სამომავლო გეგმებთან და მიმართულებებთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვა პროექტით წარმოდგენილი საკითხის მნიშვნელობასა და მასშტაბებს, როგორც დაინტერესებული პირების, ასევე მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფოსათვის. აგრეთვე, იკითხა, რამდენად მაღალი ნდობით და კეთილსინდისიერების ხარისხით სარგებლობს ინტრესთა გამოხატვაში გამარჯვებული აღნიშნული კომპანია, რამდენადაა დაგეგმილი მშენებელობა დაცული არასასურველი რისკებისაგან, რა სახის გარანტიები არსებობს, ერთი კომპანიის შესაძლებლობის, რესურსის ფარგლებში რამდენად ექცევა პროექტით განსაზღვრული მშენებლობა და შეძლებს თუ არა კომპანია პერსპერტივა სრულად, ხელშეკრულების პირობების დაცვით, უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია პერსპერტივამ გაიმარჯვა რამდენიმე ინტერესთა გამოხატვაში, შემოთავაზებული პირობებით და შესაბამისი მახასიათებელი კრიტერიუმებით, ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა არ ითვალისწინებდა საბანკო გარანტიებს, თუმცა, მხარეებს შორის დასადებ ხელშეკრულებას გააჩნია შესაბამისი საპრივატიზებო პირობები, რომელიც ერთგვარ ბერკეტს წარმოადგენს საკითხის დაზღვევისათვის.

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ დედაქალაქისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რესურსს, ამასთან, პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის მხრივ განხორციელდეს მშენებლობის მიმდინარე პროცესის მონიტორინგი.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ შენიშვნებზე:

1.მიზანშეწონილია პროექტის სამართლებრივი საბუთების ნაწილში მითითებულ იქნას:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე და 62–ე მუხლები, რომლებიც არეგულირებს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.
ბ)ქალაქ თბილისის მთავრობამ 2020 წლის 24 ივნისის N20.656.825 განკარგულება.

2. მიზანშეწონილია, ტექნიკური თვალსაზრისით გასწორდეს განკარგულების პროექტის სათაური, პროექტის პირველი პუნქტი, ხოლო, მე–2 პუნქტი გასწორდეს შინაარსობრივი

**თვალსაზრისით,** ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი პირისა და შესაბამისი პუნქტის ნაწილში მხოლობით რიცხვში მითითების მხრივ, რადგან, მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N2–ის მხოლოდ მე–15 პუნქტის ნაწილში მითითებული პირის ნაწილში ხდება განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მისი გამოცემის დღიდან.

3. **მთავრობის განკარგულების დანართ N1–ში** მიზანშეწონილია გასწორდეს:
ა) N21–ე ნომრად მითითებული მოქალაქე ირაკლი ხიჩაკაძის პირადი ნომერი და ნაცვლად მითითებულია, მიეთითოს – პ/ნ: **N01006006935;**

**4. მთავრობის განკარგულების დანართის ხელშეკრულების პროექტში მიზაშეწონილია გასწორდეს**
ა) პროექტის პრეამბულას შემდეგ მე–3 პუნქტის ნაწილში გასწორდეს მოქალაქეების: ნუგზარ კაჭკაჭაშვილისა და ნანი ჩილაშვილის პირადი ნომრები და მიეთითოს შემდეგი სახით:
ნუგზარ კაჭკაჭაშვილი – პ/ნ: 03001010765; ნანი ჩილაშვილი – 03001018770;
ბ) მე–5 მუხლის 5.2.2 ქვეპუნქტში ნაცვლად „დანართი N1"–ის მითითებისა, უნდა მიეთითოს „დანართი N2", ვინაიდან ეს უკანასკნელი მოიცავს ფაქტობრივი მოსარგებლეების ჩამონათვალს.
გ) ასევე გასწორდეს, ხელშეკრულების დანართ N1–ში, N21–ე პუნქტად მითითებული ირაკლის ხიჩაკაძის პირადი ნომერი, ნაცვლად მითითებულია, მიეთითოს – პ/ნ: **N01006006935;**

**ბატონმა ლევანმა აღნიშნა,** რომ მასალებთან ერთად წარმოდგენილი იყო მოქალაქეების: ტატიანა აბელიშვილის, ილია მარღიშვილის და მარინე ჩოხელის ვადაგასული პირადობის მოწმობები, აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა სსიპ– ქონების მართვის სააგენტოს მიერ და დამატებით იქნა წარმოდგენილი. მოქალაქე ელენე თავაძის შემთხვევაში აღნიშნულ პირს წარდგენილი აქვს განაცხადი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში განახლებული პირადობის მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, შეიმუშავა ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება წინამდებარე დასკვნას.**

**აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიაზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების/ შესწორებული განკარგულების პროექტის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** განკარგულების პროექტი ითვალისწინებს "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 58.40 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების (ს/კ: N01.15.07.017.019.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ნინო ჯაფარიძისთვის (პ/ნ: 01006005956) გადაცემის საკითხს ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო ჯაფარიძემ და ითხოვა უძრავი ქონების, მდებარე: **სოფელი ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N38-ში** (ს/კ: N01.15.07.017.019.01.004) მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 58.40 კვ.მ., თავის მხრივ, გამგეობამ შუამდგომლობითი მიმართა ქ. თბილისის მერიას.

**მარიამმა აღნიშნა შემდეგი გარემოებები:**

- უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც მოქალაქეების: მაია გაზდელიანის, ლუკა ჩანქსელიანის და იზოლდა მარტიროზოვის სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტით, სადაც ადასტურებენ, ნინო ჯაფარიძის 1991 წლიდან ცხოვრების ფაქტს, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების წერილის მიხედვით, ნინო ჯაფარიძე ნამვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ნინო ჯაფარიძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

**დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე,** განკარგულების პროექტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების, პროექტის პირველ პუნქტში აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - სიმბოლური ფასის 1(ერთი) ლარის მითითებისა და პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს სტილისტური თვალსაზრისით გასწორების ნაწილში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**28.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა"ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.068.01.003) მე-2 სართულზე, მდებარე 71.16 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე **სოფიო მელიქიშვილისთვის (პ/ნ: 01017030969)** პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მარიამმა აღნიშნა, რომ** მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე სოფიო მელიქიშვილმა და ითხოვა, მრავალი წლის მანძილზე, ფაქტობრივად დაკავებული 71.16 კვ.მ. ფართის, მდებარე: ქ. თბილისი, სოფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა N1 საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

**მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- ცხოვრების ფაქტს ადასტურებს როგორც მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რის მიხედვითაც, სოფიო მელიქიშვილი, ოჯახთან ერთად უძრავ ქონებაში, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილით და შესაბამისი ოქმით, რითაც დასტურდება, მოქალაქე სოფიო მელიქიშვილი დაახლოებით 30 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტს.
- მთაწმინდის რაიონის გამგებელმაწერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, მოქალაქე **სოფიო მელიქიშვილსათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.**
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, სოფიო მელიქიშვილის და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**მომხსენებელმა დასასრულს დასძინა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი

ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებზე, განკარგულების სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების, ამავე პუნქტში ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გასწორებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე — ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი — თამთა კაკოიშვილი